საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/52

ქ. ბათუმი 05 ივლისი 2017

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი"–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი"-ს მე-5 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის განისაზღვროს მობილობის ვადები:**

1.1. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის (გარე მობილობის) მსურველთათვის:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2017 წლის 24, 25, 28, 29 აგვისტოს ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარება - 2017 წლის 4 სექტემბერი.

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მსურველთა თანხმობის განცხადებების მიღება - 2017 წლის 4, 5, 6 სექტემბრის ჩათვლით;

დ) ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2017 წლის 11 სექტემბერი.

1.2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობის) და სტატუსშეჩერებული/სტატუსშეწყვეტილი პირის სტატუსის აღდგენის (შემდგომში - აღდგენა) მსურველთათვის:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2017 წლის 2, 3, 4, 7 აგვისტოს ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარება - 2017 წლის 14 აგვისტო.

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის განცხადებების მიღება - 2017 წლის 14, 15 16 აგვისტოს ჩათვლით;

დ) ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2017 წლის 23 აგვისტო.

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში